

შპს „ოაზისი 9“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "რაზისი 9"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35163	65032	25627	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	152620	168006	221474	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	513051	821309	6575	3.2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2002	31	31	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2002	31	31	
საინვესტიციო ქონება	8961297	8997588	9251120	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	4	974245	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	232051	321472	374319	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030	957030	957030	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები			20188	
სულ აქტივები	10853218	11330472	11830609	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	164657	865916	1901234	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418762	418710	418591	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	153680	157689	171572	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	72033	104193	49309	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		30824		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			117860	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	809132	1577332	2658566	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2912056	2923786	2923786	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7132030	6829354	6248257	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	10044086	9753140	9172043	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10853218	11330472	11830609	
სულ მოკლევადიანი აქტივები	702840	1054382	1227952	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	809132	1577332	2540706	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.				
დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე				
_____ დ. მიმინოშვილი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ოაზისი 9"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2022	2021	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	776730	828240	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	776730	828240	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-6837	-7636	
საერთო მოგება	769893	820604	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-56276	-51130	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-315262	-311262	
საპროცენტო შემოსავალი	927	1890	
საპროცენტო ხარჯი	-338	-3467	
იჯარის ხარჯი	-13838	-15363	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-100076	-65768	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-484863	-445100	
საოპერაციო მოგება	285030	375504	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-87338	11644	
მიღებული დივიდენდები	92000	189198	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	68019	3217	3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	357711	579563	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	357711	579563	3.10
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მკკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	357711	579563	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9753140	9172043	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-55035	1534	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-11730		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10044086	9753140	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.			
დირექტორები: _____		ზ. იაკობიძე	
_____		დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ოაზისი 9"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-72665	-244235
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	85214	364936
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-41475	-81330
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-28926	39371
სავალუტო კურსის ეფექტი	-943	34
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	65032	25627
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	35163	65032
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.		
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე	
_____	დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ოაზისი 9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 1996 წლის 29 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერი 5ა/4-206. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 211322736, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ., N37-39, საოფისე ფართი N602. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) - 50% წილის მფლობელი; დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 50% წილის მფლობელი.

კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) და დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომელთა ფართები ქირავდება ან განკუთვნილია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში (კოსტავასა და თაბუკაშვილის ქუჩებზე). არაძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საოფისე სარემონტო სამუშაოები.

1.4. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო – შპს „ბიჯი ოილი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 402029719), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%, 2020 წლის 28 მაისიდან.

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2022 წელს შეადგენდა 10 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტორი ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთათვისაც შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	24964	65029
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	10192	3
ევროები საბანკო ანგარიშებზე	7	
სულ:	35163	65032

3.2. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2532	1918
გაცემული სესხი	510519	819391
სულ:	513051	821309

3.3. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2022 წ. მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 წ. მდგომარეობით
მიწა ისნის რაიონში	3902169	3902169
„გრატოს“ შენობის წილხვედრი მიწა	159146	159146
მიწა თაბუკაშვილის ქუჩაზე	200300	200300
სულ:	4261615	4261615

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა კოსტავას ქუჩაზე (ადმ. ნაწილის გარეშე)	3214303	222873	-178493	3169923
სასტუმროს შენობა თაბუკაშვილის ქუჩაზე	1485379	0	-80671	1566050
სულ:	4699682	222873	-259164	4735973

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილის წილხვედრი მიწა	1431	1		1430
„გრატოს“ შენობის ადმ. ნაწილი	5159	-33324	-215	38698
ძაღოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები, დიზელ-გენერატორები	121691	0	-31568	153259
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	101870	0	-23730	125600
სხვა ძირითადი საშუალებები	1900	0	-585	2485
სულ:	232051	-33323	-56098	321472

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 2339145 ლარს.

2021 წლის ბოლოს - 2023883 ლარს.

3.5. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 2022 წლის ბოლოს 957030 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „ბიჯი ოილი“-ს კაპიტალში, რომელშიც შპს „ოაზისი 9“-ს ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „ბიჯი ოილი“-ს წილის შესყიდვისას წინა მესაკუთრისთვის გადასახდელი თანხის ოდენობით.

3.6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

ეს მუხლი შედგება 2022 წლის ბოლოს დირექტორებზე გასაცემი ხელფასის ვალდებულებისაგან - 418550 ლარი (ეს ვალდებულება წარმოშობილია იმ პერიოდში, როდესაც არ ხდებოდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების დაკავება და დარიცხვა) და სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების გადახდის ვალდებულებისაგან - 212 ლარი.

3.7. ნეტო ამონაგები

2021-2022 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა საიჯარო შემოსავლებიდან და იჯარით გაცემულ ფართებში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისათვის მოიჯარეებისაგან მიღებული კომპენსაციებისაგან:

	2022 წელი	2021 წელი
საიჯარო შემოსავლები	769893	820604
სარემონტო სამუშაოების კომპენსაცია	6837	7636
სულ:	776730	828240

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი	2021 წელი
საშუამავლო მომსახურება	-22820	-7019
საკომუნიკაციო ხარჯები	-1515	-1515
დაზღვევა	-93	-231
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-12000	-12000
ქონებისა და მიწის გადასახადები	-51924	-34234
სანოტარო ხარჯები	0	-238
საბანკო ხარჯები	-1174	-1226
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-128	-3880
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-10422	-5425
სულ:	-100076	-65768

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

	2022 წელი	2021 წელი
მიღებული პირგასამტეხლოები	67879	591
პანდემიის გამო დაწესებული შეღავათი საშემოსავლო გადასახადში	0	2719
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი	214	124
საურავები	-74	-156
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი	0	-61
სულ:	68019	3217

3.10. მოგება-ზარალი და საკუთარი კაპიტალი:

2022 წელს მიღებული იქნა 357711 ლარი მოგება, რაც დაახლოებით 38%-ით ნაკლებია, ვიდრე 2021 წელს მიღებული მოგება. მოგების შემცირება განაპირობა საიჯარო შემოსავლებისა და მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდების კლებამ.

2021-2022 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა და მოგების გადასახადის ხარჯი არ წარმოშობილა.

2022 წელს კომპანიის პარტნიორებმა მიიღეს გადაწყვეტილება წესდებით დადგენილი კაპიტალის შემცირების შესახებ (წილობრივი მონაწილეობის შეუცვლელად) და ამ მიზნით შეამცირეს კაპიტალი ფულადი შენატანების უკან დაბრუნების გზით, 11730 ლარის ოდენობით. მას შემდეგ კომპანიის საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

შესაბამისად, 2022 წლის ბოლოსათვის კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება შემდეგი თანხებისაგან:

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი – 2912056 ლარი;

გაუნაწილებელი მოგება – 7132030 ლარი.

სულ – 10044086 ლარი.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები:

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სახელფასო ვალდებულებები წინა პერიოდებიდან:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასი (ზ. იაკობიძე)	209275	209275	209275
გასაცემი ხელფასი (დ. მიმინოშვილი)	209275	209275	209275
სულ:	418550	418550	418550

ეს სახელფასო ვალდებულება მოდის იმ პერიოდიდან, როდესაც არ არსებობდა სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

გარდა აღნიშნულისა, კომპანიამ 2022 წელს პარტნიორებისაგან მიიღო მოკლევადიანი უპროცენტო სესხი 85000 ლარი, რომელიც სრულად იქნა დაბრუნებული იმავე წელს.

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 27 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 27 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35163	65032	25627	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	152620	168006	221474	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	513051	821309	6575	3.2
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	2002	31	31	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	2002	31	31	
საინვესტიციო ქონება	8961297	8997588	9251120	3.3
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	4	974245	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	232051	321472	374319	3.4
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	957030	957030	957030	3.5
სხვა გრძელვადიანი აქტივები			20188	
სულ აქტივები	10853218	11330472	11830609	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	164657	865916	1901234	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	418762	418710	418591	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	153680	157689	171572	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	72033	104193	49309	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		30824		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			117860	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	809132	1577332	2658566	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	2912056	2923786	2923786	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7132030	6829354	6248257	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	10044086	9753140	9172043	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10853218	11330472	11830609	
სულ მოკლევადიანი აქტივები	702840	1054382	1227952	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	809132	1577332	2540706	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.

დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	776730	828240	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	776730	828240	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-6837	-7636	
საერთო მოგება	769893	820604	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-56276	-51130	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-315262	-311262	
საპროცენტო შემოსავალი	927	1890	
საპროცენტო ხარჯი	-338	-3467	
ოჯარის ხარჯი	-13838	-15363	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-100076	-65768	
სულ საოპერაციო ხარჯები	-484863	-445100	
საოპერაციო მოგება	285030	375504	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-87338	11644	
მიღებული დივიდენდები	92000	189198	3.10
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	68019	3217	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	357711	579563	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	357711	579563	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	357711	579563	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9753140	9172043	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-55035	1534	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-11730		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10044086	9753140	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.

დირექტორები:

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-72665	-244235
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	85214	364936
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-41475	-81330
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-28926	39371
სავალუტო კურსის ეფექტი	-943	34
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	65032	25627
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	35163	65032

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2023 წ.

დირექტორები: _____

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.